ს ა ნ ო ტ ა რ ო ს ე ლ ო
ქ. თბილისის ნოტარიუსი
იამზე ჩანქსელიანი
თბილისი, მეტრო სადგურ „სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ
ტელ: 265-77-33

GEORGIA
NOTARY OF TBILISI
IAMZE CHANKSELIANI
Tbilisi, nearby metro station "sarajishvili"
Tel: 265-77-33

სანოტარო აქტი

დღეს, ორი ათას ოცდაექვსი წლის ხუთ ნოემბერს, მე, ნოტარიუს იამზე ჩანქსელიანს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, მეტროსადგურ სარაჯიშვილის მიმდებარედ, მომმართა მოქალაქე **დავით ხარშილაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობით შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭოს **ზაური მაჭარაშვილს,** აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის პროექტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად მოქალაქე **დავით ხარშილაძემ,** დაბ. 03.03.1994წ. მცხ. **საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნიგვზარა, მე-4 ქუჩა, N 96, პ№38001044994,** მომმართა.

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს.

მინდობილობა

მე, **დავით ხარშილაძე** უფლებამოსილებას ვანიჭებ **ზაური მაჭარაშვილს,** დაბ. 10.05.1978წ., მცხ. **თბილისი დიდი დიღომი იოანე პეტრიწის ქ. N 168 ბ. 28, პ№54001000904,** წარმოადგინოს ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, გლდანი, ავჭალის მასივი (ს/კ 72.13.35.472) დამოუკიდებლად და აწარმოოს ყველა საჭირო სანებართვო და სარეგისტრაციო საქმეები, კერძოდ წარადგინოს განცხადებები და მოიპოვოს ნებართვები საჯარო სამსახურებში-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მერიაში, გამგეობაში, თვითმმართველობის სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურებში, ქონების მართვის სამსახურში, ურბანული განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის, პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით) მოიპოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და მიმართოს განცხადებებით ყველა საჭირო ორგანიზაციას ამ ინფორმაციის მოპოვების მიზნით. შეაგროვოს ყელა საჭირო დოკუმენტაცია ნებისმიერი დაწესებულებიდან, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს კორექტირება, შეაგროვოს წარადგინოს, მოითხოვოს, მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნახაზები, პროექტი, ტექნიკური პირობები, ნებართვები, თანხმობები და ნებისმიერი საჭირო საბუთი (დოკუმენტი) და ა.შ.., აიღოს მშენებლობის ნებართვა, გააგრძელოს მშენებლობი ნებართვის ვადა, შეიტანოს ცვლილებები პროექტში, აწარმოოს ყველა საჭირო პროცედურა, რაც დაკავშირებული იქნება მშენებლობასთან და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის, აწარმოოს ექსპლუატაციასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები, ჩააბაროს (ატვირთოს) და მიიღოს დოკუმენტაცია როგორც ელექტრონულად ასევე კანცელარიის მეშვეობით, შეიტანოს ყველა სახის განცხადება და მოაწეროს ჩემი სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტაციას. ასევე იყოს ჩემი წარმომადგენელი კომუნალურ სამსახურებში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, ჩემი სახელით დაწეროს განცხადებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეიყვანოს კომუნიკაციები (დენი, წყალი, გაზი, ინტერნეტი) დამარეგისტრიროს აბონენტად, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან. (გასხვისების უფლების გარეშე)

მინდობილობა გაცემულია ოთხი თვის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა მომნდობს.

გადახდილია საზღაური – 18.00 ლარი + დღგ 3.24 ლარი + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, სულ – 26.24 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის № 272 დადგენილების 31 და 39 მუხლებისა და საგადასახადო კოდექსისა.

მომნდობი: დავით ხარშილაძე

ნოტარიუსი: /ი. ჩანქსელიანი/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

03440496556926

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261570040

რეგისტრაციის თარიღი

05.11.2026 წ

ნოტარიუსი: იამზე ჩანქსელიანი

მისამართი: ქ. თბილისი, მეტროსადგურ ,,სარაჯიშვილი''-ს მიმდებარედ

ტელეფონი: 2 65 77 33, 577 46 16 80

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18